საქართველოს მთავრობის

დადგენილება №132

2015 წლის 25 მარტი

ქ.თბილისი

„საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში (სსმ, 25/11/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. კომისიამ უზრუნველყოს ამ დადგენილების №2 დანართით განსაზღვრული არაგეოგრაფიული ზონის კოდების (NDC) - 200-299 რეზერვიდან მოკლე ნომრის - 2-0-1-5, ნებართვის გარეშე, გადაწყვეტილებით, უსასყიდლოდ, დროებით, 2015 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 20 აგვისტომდე, ა(ა)იპ - ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ის საორგანიზაციო კომიტეტისთვის მინიჭება, საინფორმაციო ცენტრის ცხელი ხაზის ფუნქციონირებისთვის. აღნიშნული ნომრის აკრეფა განხორციელდეს დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ბ“ და „ვ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ყოველგვარი პრეფიქსის გარეშე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**